

ალბათ გახსოვთ, რომ ჩეხეთის რესპუბლიკამ წელს კალვინბოლის ჩემპიონატს უმასპინძლა. კალვინბოლს თამაშობს n რაოდენობის მოთამაშე განსხვავებული სახელებით და ისინი დაყოფილია ნებისმიერი რაოდენობის არაცარიელ გუნდად. ზოგიერთ მოთამაშეებს არ მოსწონთ ერთმანეთი. არმოწონება სიმეტრიულია: თუ a მოთამაშეს არ მოსწონს b , მაშინ b მოთამაშესაც არ მოსწონს a .

კალვინბოლის ფედერაციამ ბოლო მომენტში შეცვალა გუნდების შედგენის წესი: არცერთი წყვილი, რომელთაც არ მოსწონთ ერთმანეთი, არ შეიძლება იყოს ერთ გუნდში. ამასთან გუნდების რაოდენობა რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს.

ვთქვათ, Calvin, Hobbes, Susie, Tom, Jerry და Batman თამაშობენ კალვინბოლს. Batman-ს არ მოსწონს არცერთი მოთამაშე, Tom-ს არ მოსწონს Jerry და Hobbes. მაშინ შესაძლებელია სამი გუნდით თამაში (მაგალითად, Batman ცალკე გუნდად, Tom და Susie მეორე გუნდში, ხოლო Calvin, Hobbes და Jerry – მესამე გუნდში). ორი გუნდით თამაში შეუძლებელია, რადგან Batman-ს, Tom-ს და Jerry-ს წყვილ-წყვილად არ მოსწონთ ერთმანეთი და მინიმუმ 3 გუნდს საჭიროებენ. სწორი არ იქნება 4 გუნდის შედგენაც, რადგან შესაძლებელია უფრო ნაკლები რაოდენობის გუნდებით შეჯიბრი.

დაწერეთ პროგრამა, რომელიც წყვილთა არმოწონების გათვალისწინებით დაჰყოფს მოთამაშეებს მინიმალური რაოდენობის გუნდად (თუ პასუხი რამდენიმეა, იპოვეთ ნებისმიერი).

შესატანი მონაცემები: ეს არის ამოცანა, რომელიც მხოლოდ გამოსატანი ფაილების (output-only) ფორმირებას მოითხოვს. ფოლდერში /mo/problems/again თქვენ შეგიძლიათ ნახოთ 10 ფაილი, რომელთა სახელებია input_000.txt, . . . , input_009.txt. თითოეულ მათგანს აქვს შემდეგი ფორმატი:

პირველი სტრიქონი შეიცავს ორ არაუარყოფით რიცხვს n და m , რომლებიც აღნიშნავენ მოთამაშეთა რაოდენობას და იმ წყვილთა რაოდენობას, რომელთაც ერთმანეთი არ მოსწონთ. მოთამაშეები გადანომრილია 1-დან n -მდე. i -ური სტრიქონი შეიცავს ორ განსხვავებულ მთელ რიცხვს a_i და b_i ($1 \leq a_i; b_i \leq n$), რაც ნიშნავს, რომ მოთ a_i და b_i ნომრებით არ მოსწონთ ერთმანეთი.

გამოსატანი მონაცემები: თითოეულ გამოსატან input_00k.txt (სადაც $k = 0, \dots, 9$) ფაილს უნდა ჰქონდეს შემდეგი ფორმატი; პირველ სტრიქონში უნდა ეწეროს ერთი მთელი არაუარყოფითი რიცხვი t , რომელიც აღწერს თუ რამდენ გუნდად არიან დაყოფილი მოთამაშეები. მომდევნო t სტრიქონიდან თითოეული შეიცავს იმ მოთამაშეთა ნომრების ჩამონათვალს, რომლებიც შედიან შესაბამის გუნდში, ანუ i -ური სტრიქონი შეიცავს i -ური გუნდის წევრეთა ნომრების ჩამონათვალს. გუნდის შიგნით მოთამაშეთა ნომრების ჩამოთვლა შესაძლებელია ნებისმიერად.

გამოსატანი ფაილები უნდა წარმოადგინოთ შეჯიბრის ინტერფეისიდან. თუ თქვენს ამოხსნას აკლია ზოგიერთი გამოსატანი ფაილი, ისინი შეგიძლიათ დააკოპიროთ წინა ამოხსნიდან (თუკი რა თქმა უნდა გაქვთ). ასევე შესაძლებელია ფაილების სათითაოდ ჩაბარებაც.

შეტანის მაგალითი:

6 7
1 6
2 6
3 6
4 6
5 6
5 4
2 4

გამოსატანის მაგალითი:

ერთ-ერთი შესაძლო პასუხი:

3
6
4 3
1 2 5

განმარტება: მაგალითი შეესაბამება ამოცანაში აღწერილ სიტუაციას და მოთამაშეები გადანომრილი არიან შემდეგნაირად:

Player	Calvin	Hobbes	Susie	Tom	Jerry	Batman
Number	1	2	3	4	5	6

შეფასება: 10 შესატანი ფაილიდან თითოეულისათვის მიიღებთ 10 ქულას, თუკი შესაბამის გამოსატან ფაილში წარმოდგენილი იქნება სწორი პასუხი.